საქართ. მეშარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

წელიწადი მეხუთე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთ „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 400,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 20,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან.
4 „ 100,000
სამგლოვიარო განცხადება:
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

№ 467 შაბათი, მაისის 12 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000

## ხელფასის საკითხი

მშრომელთა სახელმწიფოებში ხელფასის საკითხი კიდევ არ კარგავს სიმწვავეს. ეს არც არის საკვირველი. ჯერ კიდევ მოუწყობელი საზოგადოებრივი ცხოვრება და სამეურნეო კრიზისები ობიექტიურ დაბრკოლებასა ქმნიან ხელფასის ზრდისათვის.

ამ ახლო წარსულში, როდესაც მანეთის კურსმა ერთგვარი სიმტკიცე შეინარჩუნა, შესაძლებელი გახდა მუშათა ხელფასის გადიდება და მისი ჩაყენება გარკვეულ პირობებში. ბაზრის ფასის შედარებითმა სიმტკიცემ შექმნა პირობები ბიუჯეტების სწორად შედგენისათვის. როგორც დაწესებულებამ ისე მუშის ოჯახმა გარკვეული ანგარიშით იწყო არსებობა.

დღეს კი კვლავ დავდექით საბაზრო ფასების ზრდის წინაშე. პირველმოთხოვნილების საგნებზე მეტად მაღლა ავიდა ფასი და არსებული ხელფასის დროს ფრიად შემცირდა მსყიდველობითი ძალა მშრომელი ხალხის. თუ ამ ორი თვის წინათ საქონლის მანეთის კურსით მიღებული ხელფასი მუშის ოჯახს ასე თუ ისე კიდევ აძლევდა არსებობის საშუალებას, დღეს იგი უკვე დიდათ ჩამორჩა საბაზრო ფასების ზრდას.

ხელფასის საკითხის მოგვარებას მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს.

ვიდრე სოციალისტური მეურნეობა არ განხორციელდება, სადაც დაქირავებული შრომას და შრომის ექსპლოატაციას ადგილი არ ექნება, მუშათა კლასისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს ხელფასის უმაღლეს ხარისხამდე აყვანას. ხელფასის გადიდება მისცემს საშუალებას მუშათა კლასს კულტურულ ამაღლებისათვის და პოლიტიკური გათვითცნობიერებისათვის. თუ ვერ შევძელით მუშათა კლასის უზრუნველყოფა, თუ მას ვერ მივეცით საარსებო საშუალება, ცხადია ამ თავითვე დაღუპულად და წაგებულად უნდა ჩავთვალოთ მშრომელთა ხელისუფლების საქმე.

უმთავრესი, რაც შესძლებს ხელფასის ნორმალურ პირობებში ჩაყენებას, წარმოების ნაყოფიერება და საემისიო მეურნეობის გაჯანსაღებაა.

სანამ ხელფასის მიმღებთა უმრავლესობა მოხელეებია, რომელნიც სდგანან სამეურნეო შრომის გარეშე, ცხადია მათი შენახვა საგადასახადო სისტემითა და დაგროვილი სიმდიდრის გაფლანგვით მოხდება. ამიტომ უპირველესი საქმე სამმართველო შრომის მინიმუმამდე დაყვანა და სამეურნეოს მაქსიმუმამდე გადიდებაა.

დაწესებულებანი დღესაც ხელოვნურად არის გაბერილი დიდი შტატით. ზოგმა დაწესებულებამ რაღაც საქველმოქმედო ხასიათი მიიღო, სადაც მოსამსახურენი იმიტომ კი არ არიან მიწვეულნი, რომ საქმე არის საკეთებელი, არამედ იმიტომ, რომ მათ ჯამაგირი მიიღონ. ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ სამართველო ხასიათის შრომა.

ასევე ითქმის წარმოებათა შესახებ სამმართველო შრომის დარგში. რუსეთის პრესამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას. კომპარტიის 12 ყრილობამაც ხაზი გაუსვა შტატების შემოკლების საკითხს.

ცხადია შტატების შემოკლებით უმუშევართა ლეგიონი არ უნდა შევქმნად. უნდა აღმოვაჩინოთ სამეურნეო ხასიათის სფეროები უმუშევართათვის.

ამასთან ერთად საემისიო მეურნეობის გაჯანსაღებას უნდა მიექცეს ყურადღება. ხელოვნურად ფასების თამაშის წინააღმდეგ სასტიკი ზომები უნდა იქნეს მიღებული.

ხელფასის საკითხი მუშის არსებობის საკითხია. აქ არ შეიძლება არავითარი კომპრომისები და მაღალი მოსაზრებანი, რადგან მუშის ინტერესებზედ მაღლა არაფერი არ უნდა იდგეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

დღეს უკვე შეუძლებელია არსებული ხელფასით მუშათა კლასის საარსებო საშუალებათა დაკმაყოფილება.

„კომუნისტმა“ სადისკუსიო სახით გამოსთქვა ის აზრი, რომ ხელფასის საფუძვლად უნდა იქნეს მიღებული არა საქონლის მანეთი, არამედ ოქროს, რადგან ამ უკანასკნელმა დიდათ გაასწრო პირველს და დიდი სხვაობა აღმოცენდა ბაზრის ფასებსა და ხელფასის სიდიდეს შორის.

ერთი სიტყვით, როგორც პროფკავშირთა საბჭომ, ისე სახელმწიფოს უმაღლესმა ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციოს ხელფასის საკითხს და რადიკალური ზომები უნდა მიიღოს, რათა ხელფასმა მიაღწიოს იმ სიმაღლეს მაინც, რომელზედაც იყო იგი ასული უკანასკნელ ხანამდე.

## პრესა

გაზეთი „მუშა“ (№ 141) სამართლიანად აღშფოთებულია იმ „წარმოუდგენელი ველურობით“, რომელიც ჩაუდენია ჩვენ სულიერ მამებს.

„მშრომელი ხალხი უნდა დარწმუნდეს საბოლოოდ, რომ სამღვდელოება დღეს მისი ზედმეტი ხორცია, კუზი. ამ კუზს მოშორება უნდა.

და რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს ქვემოყვანილი ჰავალითიც.

საქართველოს სამღვდელოებას ქართველი ხალხის სიმდიდრე გაუტაცნია ყაჩაღურათ და მიწაში ჩაუფლია.

საბჭოთა ხელისუფლებამ აღმოაჩინა ქუთაისში მთელი ყუთი მიწაში ჩაფლული. ყუთი აღმოჩნდა ძვირფასი განძებითა და მორთულობით სავსე.

აქ არის ძვირფასი ქვებით შემკული საეკლესიო მორთულობა და სამღვდელოების უმაღლეს პირთა ძვირფასად მორთული შესამოსავი.

ამ სამკაულს უაღრესად დიდი კულტურული მნიშვნელობა აქვს. ამ ნაშთების საშუალებით შეიძლებოდა იმის გაგება, თუ რა სიმაღლეზე ყოფილა აწეული ქართული ხელოვნება, განათლება, მისი კულტურული დონე წარსულში.

და მრავალი ამ ძვირფას განძთაგანი მიწისაგან არის შეჭმული, გაფუჭებული.

მათ შორის არის მეთორმეტე საუკუნის ხელნაწერი სახარებაც, ამას ქონდა დიდი ისტორიული მნიშვნელობა. ეს წარსულის მაჩვენებელი ნიშანი აღმოჩნდა ნახევრად დამპალი და გაფუჭებული.

ამ გვარად სასულიერო წოდებამ ჩაიდინა უდიდესი ბოროტება ქართველი მშრომელი ხალხის წინაშე.

ის ელობება წინ მის კულტურულ წინსვლას. სპობს და ანადგურებს წარსულის კულტურულ ნაშთებს, ძეგლებს. მიწას აძლევს შესაჭმელად ქართველი ხალხის შემოქმედების ნაყოფს.

ამაზე შორს ველურობა ვერ წავა.

ამაზე შორს გახრწნა და გადაგვარება ვერ წავა.

მშრომელი ხალხი ამას დაიწერს თავის გულის ფიცარზე და დაწყებულ შეტევას ამ წოდების წინააღმდეგ კიდევ უფრო გააძლიერებს და მოუგრეხს კისერს.

ისტორიის კანონები ამას უკარნახებენ მას“.

## რადიო-დეპეშები

ბერლინი. 7 მაისი. (მოსკოვით). რურის მუშებმა უარჰყვეს სამედიატორო სასამართლოს დადგენილება ხელფასის მომატების შესახებ სამთამადნო მუშები მოითხოვენ 40 პროცენტის მომატებას.

### ლოზანას კონფერენცია

#### ლოზანას თათბირი ერთ თვეს გასტანს

ანგორა 9 მაისი. დეპ. გაზ. „ტანი“ ჰფიქრობს რომ ლოზანის კონფერენცია კიდევ ერთ თვეს გასტანს, ვიდრე მოკავშირეები გამოარკვევენ სტამბოლში მყოფ ყველა უცხოელ კომპანიების მოთხოვნილებათ.

#### სირიის საზღვარზე ჯარს აგროვებენ

პარიზი 10 მაისი. ადნან ბეისათვის გადაცემულ საფრანგეთის მთავრობის პროტესტში, სირიის საზღვრებზე ჯარის მოგროვების გამო, საფრანგეთის წარმომადგენლებმა მიუთითა ადნან ბეის, რომ საფრანგეთი ასრულებს ყველა მუხლებს ოსმალეთთან შეთანხმებისას, ამასთანავე საფრანგეთის წარმომადგენელმა გაახსენა, საფრანგეთის დელეგაციის მომრიგებლის როლი ლოზანაში.

#### ეკონომიური კომისია

რომი 10 მაისი. ლოზანიდან იუწყებიან, რომ ეკონომიურ კომისიის სხდომაზე მოკავშირეები შეუთანხმდნენ ოსმალებს ზოგიერთ მუხლებში და მოიწონეს სავაჭრო ხელშეკრულების პირველი მუხლები.

#### პოლიტიკური კომისია

რომი 10 მაისი. პოლიტიკურ კომისიაში ოსმალებმა მოითხოვეს იმ სამხედრო გემების დაბრუნება რომლებიც მოკავშირეებმა დაატყვევეს დროებითი ზავის ჩამოგდებისას. ვენიზელოსმა უარი განაცხადა ამ საკითხის თაობაზე თავისი აზრის გამოთქმისა, იმ მოსაზრებით, რომ ეს საკითხი ეხება საბერძნეთსაც და იგი უნდა განიხილონ ოსმალეთ-საბერძნეთის საკონტრიბუციო საკითხთან.

სხდომის ბოლოს განხილულ იქმნა საკითხი, [illegible] საფინანსო-ეკონომიური მუხლების განხილვაში მონაწილეობა მიეღოთ წარმომადგენელს ბელგიისას, ჩეხო-სლოვაკიისას, პორტუგალიისას და პოლონეთისას. ოსმალეთის დელეგაცია წინააღმდეგი იყო ამ წინადადებისა. მონტანია დაჟინებით მოითხოვს მის დაშვებას.

### ინგლისის პოზიცია.

#### ინგლისის პრესის აზრი საფრანგეთის პასუხის შესახებ.

ლონდონი. 7 მაისი. „დეილი ტელეგრაფი“ სწერს: საფრანგეთის მიერ გერმანიის წინადადებების უარყოფას მოჰყვება არა სასურველი შედეგები. ძლიერ სამწუხაროა, რომ საფრანგეთმა სავსებით გვერდი აუხვია ლონდონის აზრს და თათბირი გამართა მხოლოდ ბელგიასთან. ბერლინში შეიქმნა საშიში წარმოდგენა მოკავშირეებს შორის ნაკლები სოლიდარობის შესახებ.

„ტაიმსი“ სწერს: „საფრანგეთის მოქმედება ართულებს ისედაც გართულებულ ურთიერთობას მოკავშირეებს შორის. თუმცაღა გერმანიის ნოტა უშედეგოა, მაგრამ ის მაინც წარმოადგენს საფუძველს მოლაპარაკებისათვის.

საფრანგეთი და ინგლისი აფერხებენ მოკავშირეების ერთიანი ფრონტით გამოსვლას.

#### ინგლისის მუშები მხარს უჭერენ საბჭოთა რუსეთს.

ლონდონი. 8 მაისი. „დაილი ჰერალდში“ მოთავსებული წერილის გამო, რომელშიაც აღნიშნულია საფრთხე, რომელსაც გამოიწვევს რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევა, „მორნინგ პოსტი“ მოწინავეში სწერს, რომ ინგლისის მუშათა პარტია, ინგლისის კომპარტია და ინდოეთის მუშათა პარტია მეტად ერთსულოვნად უჭერენ მხარს „ყაჩაღ“ ბოლშევიკებს საკუთარი (ინგლისის) მთავრობის წინააღმდეგ.

#### ინგლისის კომუნისტური პარტიის მანიფესტი.

ლონდონი. 7 მაისი. ინგლისის კომპარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება ყველა ორგანიზაციებისადმი, რომელშიც აღწერილია რუსეთის ნამდვილი მდგომარეობა და კაპიტალისტების ცდა რუსეთზე თავდასხმის მოსაწყობად. მანიფესტი მოუწოდებს მუშებს ერთიანი ფრონტით გაილაშქრონ იმპერიალისტების წინააღმდეგ. მანიფესტში წამოყენებულია შემდეგი ლოზუნგები: „ხელები შორს რუსეთის სავაჭრო დელეგაციისაგან, რუსეთთან ზავის დადება და მისი ცნობა, ძირს ომი—გაუმარჯოს საბჭოებს, გაუმარჯოს მუშათა რესპუბლიკას“. ასეთივე ხასიათისაა ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის მანიფესტიც.

#### ემიგრაციის სტატისტიკა.

რომი. იტალიის გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობების მიხედვით, სამი წლის განმავლობაში (1920—1922 წ.) იტალიიდან გადასახლებულა 883,681 კაცი, ინგლისიდან და ირლანდიიდან—634,514, შვეციიდან—26,551, შვეიცარიიდან—18,180, ესპანიიდან—289,817, პორტუგალიიდან—104,770, გერმანიიდან—35,053, დანიიდან—14,966, ბელგიიდან—13,551, ფინეთიდან—10,232.

### გერმანია და ანტანტა

#### გერმანიის პრესის განწყობილება

ბერლინი 8 მაისი. „ფოსიშე ცაიტუნგი“, უკეთებს რა კომენტარიებს საფრანგეთ-ბელგიის ნოტას, ფიქრობს, რომ გერმანიის მთავრობამ ყურადღებით უნდა განიხილოს ეს ნოტა და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს რეპარაციების ჯამს. სოციალ-დემოკრატებს ვერ გადაუწყვეტიათ, განაგრძონ თუ არა პასიური წინააღმდეგობა.

მემარჯვენე გაზეთები აცხადებენ, რომ მოლაპარაკება საფრანგეთის მთავრობასთან ამის შემდეგ შეუძლებელია.

#### საფრანგეთის პრესა იცვლის პოზიციას

პარიზი. 8 მაისი. საფრანგეთის პრესის ნაწილმა რამოდენიმედ იცვალა პოზიცია გერმანიის მდგომარეობისადმი. ზოგიერთი გაზეთები უკვე აღარ მოითხოვენ გერმანიის წინადადების კატეგორიულად უარყოფას.

#### კონფერენციის გარეშე არც ერთი ნაბიჯი

რომი. 7 მაისი. მუსოლინი მოითხოვს მოწვეული იქნეს საერთაშორისო კონფერენცია. რომელზედაც განხილული იქნება საკითხი გერმანიის ნოტის პასუხის შესახებ.

#### საფრანგეთს მარცხი მოუვიდა

ლონდონი. 8 მაისი. ინგლისის კაბინეტი 8 მაისს იხილავდა ნოტის ტექსტს, რომელიც გაეგზავნება გერმანიას, „ტაიმსის“ აზრით, საფრანგეთმა გადასდგა მოუფიქრებელი ნაბიჯი, რითაც დახმარება გაუწია ინგლის, გაზეთები ფიქრობს, რომ გერმანიის წინადადება უნდა გადაეცეს გადასაჭრელად საერთაშორისო სარეპარაციო კომისიას.

#### „მატენი“ შიშობს

პარიზი. 8 მაისი. „მატენი“ შიშობს, რომ კერზონისაგან მოსალოდნელი პასუხი საშუალებას მისცემს გერმანიას განაგრძოს პასიური წინააღმდეგობა. რაც დამღუპველ შედეგებს გამოიწვევს.

## ახალი ამბები

— **ბრძოლა ანტი-სანიტარულ პირობებთან.** ქალ. აღმასკომთან დაარსდა კანსაკუთრებული კომისია ქალაქში სისუფთავის დასაცავად და ეპიდემიურ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ზომების გამოსანახავად.

— **ტრამვაი და წყალსადენი.** ტფილისის წყალსადენს მიეცა ათი მილიარდი მანეთის მასალა, დაუბრკოლებლივ სუფთა წყალი მიეცეს მხოვრებლებს. აგრეთვე ტრამვაის მიეცა 90,000 მან. ოქროთი გაუქმებულ ხაზების გასაახლებლად და საჭირო მასალების შესაძენად.

— **შემოსავალ-გასავალი.** იანვრის, თებერვლის და მარტის განმავლობაში აღმასკომის სალაროში შემოვიდა 324,401 მილ. მან. და დახარჯა—262,300 მილ. მანეთი.

— **კვირეულის მოწყობა.** 20 მაისიდან 27 მაისამდე სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ მოწყობილი იქნება ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კვირეული. კვირეულის სათანადოთ ჩასატარებლად შემდგარია განსაკუთრებული კომისია.

— **დამხმარე კომიტეტებში.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა დაადგინა მოაწყოს საქართველოს დაბა ქალაქებში გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტები.

— **პენსიონერები.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რათა რესპუბლიკის ყოველი პენსიონერი გადმორიცხულ იქნას ხსენებული კომისარიატის განკარგულებაში, კომისარიატს დადგენილი აქვს აგრეთვე სათანადო დასტურის შემდეგ გადასინჯოს რესპუბლიკის პენსიონერთა სია და გაუდიდოს დახმარება რევოლიუციის ყოველი დარგის მოღვაწეებს.

— **მთლიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადი.** მაისის 11-ს, დილის 10 საათზე მთლიანი მუშათა კოოპერატივის შენობაში (კირკისა და კამოს ქ. კუთხე) დაიწყო სამაზრო სასურსათო კომისართა თათბირი ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებთან ერთად. თათბირმა უნდა განიხილოს საკითხი 1922—1923 წლის მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პრაქტიკულად განხორციელების შესახებ.

— **მტკვრის ადიდება.** (ბორჯომი) მტკვარს ადიდება დაეტყო 4 მაისს, ხოლო 5 და [illegible] მაისს

## ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

(ბიულეტენი № 31).

**მოსკოვი. 9 მაისი. ამ უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში დრო გამოშვებით ადგილი ჰქონდა ტემპერატურის აწევას, რომელიც აღწევდა—37,3, საშარდე ბუშტის მხრივ უმნიშვნელო კატარრალურ მოვლენებთან დაკავშირებით. დღეს ტემპერატურა უდრის—37,1. მაჯისცემა—96. საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.**

1923 წ. 9 მაისი, ნაშუადღ. 2 საათი.

პროფესორები: **ფორსტერი ნონნე, კრამერი,**
პრივატ-დოცენტი: **კოჟევნიკოვი.**
ექიმი **ელისტრატოვი.**
ჯანმრთელობის სახ. კომისარი: **სემაშკო.**

### რურის ოლქის ოკუპაცია

ბერლინი. 10 მაისი. უკანასკნელი ცნობებით რურის ოკუპაციამ დღემდი იმსხვერპლა 50 კაცი. მათ შორის არის სამი ბავში. სამი არა სრულწლოვანი ახალგაზრდა, ერთი 19 წ. ქალიშვილი და 2 სამოცი წლის მოხუცი.

მდინარემ მოიმატა სიმაღლე 4 არშინ ნახევარი და დაფარა ყველა ახლო-მახლო ადგილები. მდინარემ გააფუჭა ბორჯომ-ახალციხეს შუა ყველა მოკეჩნილი გზები, ალაგ სრულებით დაანგრია და აგრეთვე დაამსხვრია ყველა ტელეფონის და ტელეგრაფის ბოძები. ამავე მდინარემ წაიღო ორი ხიდი ერთი ბორჯომზე 15 ვერსით დაშორებული სოფ. ჩომისხევის და მეორე 16 დაშორებულის დვირის დაზიანებულია და ალაგ-ალაგ სრულებით გაფუჭებული ბორჯომიდან 26—28 ვერსის მანძილზე რკინის გზის ლიანდაგი. 7 მაისს მდინარეს დაეტყო დაკლება და საღამოს 5 საათზე დაიწია 1 არშ. და ნახევარი. წყალის დაკლება გრძელდება.

— **ინგლისური ცხენები**. რუსეთის მიწათმოქმედების კომისარიატმა საქართველოს ცხენთა სადგურს აჩუქა 4 საუკეთესო ინგლისური ჯიშის ცხენი.

## მუშათა ცხოვრება

**პროფსაბჭოთა წევრებისათვის** ექსკურსიის მოსაწყობად კულტგანყოფილებას წინადადება მიეცა გამოჰყოს საგანგებო კომისია, აგრეთვე ამ კომისიაში მოიწვიოს მიწა-ტყის კავშირის წარმომადგენელი.

**დასასვენებელ სახლებში** ადგილების გასანაწილებლად, პროფსაბჭოთა პრეზიდიუმს ამ მოკლე ხანში თათბირი ექნება კავშირთა ც. პ—ს წარმომადგენლების მონაწილეობით.

**სრულიად საქართველოს პროფკავშირთა ყრილობაზე** დღიურ წესრიგში დასმულ საკითხთა შესახებ მომხსენებლებად დასახელებულ იქმნენ შემდეგი ამხანაგები: ყურულაშვილი—საქართველოს პროფესიონალურ კავშირები, იაშვილი—УЗПКТ-ის ანგარიში და შრომის უმაღლობლესი ამოცანები, ავაქოვი—წარმოების მდგომარეობა და მისი პერსპექტივები, ერისთავი—მუშათა მთლიანი კოოპერატივი, ბახუტოვი—საორგანიზაციო საკითხები, ჯულელი—სატარიფო კითხვები, ყურულაშვილი—კულტგანათლების საკითხი.

**შორაპნის შავი ქვის** მტვირთავთა შესახებ პროფსაბჭოთა სამდივნომ დაადგინა: აუცილებლად შეიცვალოს არტელის აგებულება, აიგოს იმ საფუძველზე, როგორც საქართველოს მტვირთავთა სხვა კავშირები და ჩაირიცხოს ტვირთის მიმომზიდველთა კავშირში. არტელის რეორგანიზაციის მოსახდენათ არჩეულ იქნა კომისია. კომისიაში არჩეულია ტრანსპორტნიკების წარმომადგენები (ამხ. სულკა) და შრომის ადგილობრივ განყოფილების გამგეს.

**სკრის სახალხო მამულთან** მებაღეობისა და მებოსტნეობის კურსების გასახსნელად, გორის მაზრის აღმასკომს მიეწერა: ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს სკრის მამულის თანამშრომელთ კურსების დაარსებისა და მსმენელების აღრიცხვის საქმეში.

**საქართველოს მიწა-წყლის** კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: სკრის სახალხო მამულს, რათა კავშირს აცნობოს: ა) ფასი მუნდოვანი სურათების საჩვენებელ აპარატისა, ბ) ცნობები, თუ აგრონომიულ ქვეგანყოფილებას რა და რა სახელმძღვანელოები დასჭირდება მებაღეობასა და მებოსტნეობის კურსებისათვის.

**მუშათა პრესის** შესახებ, მიწა-ტყის კავშირის საბჭომ დაადგინა: მიენდოს ამხ. ბედუკიძეს გაალოს 2 სამკითხველო—წიგნთ-საცავი პროვინციაში, რაც შეიძლება დაჩქარებით.

**ზედმეტი მუშობის** მოსპობის შესახებ, მიწა-ტყის კავშირის საბჭომ სახელმძღვანელოდ მიიღო ს. პ. კ. საბჭოს მოწერილობა და დაადგინა, ასლი გადაეგზავნოს მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის ყველა დაწესებულებათათვის გადასაცემად.

**მიწა-ტყის** უმუშევარ წევრებს, რიცხვით 11 კაცს, უმუშევართა ფონდიდან მიეცა ერთდროული დახმარება, თითოეულს 2—3 მილიონი.

**საბჭომუშაკთა კავშირის** სამდივნო კრებამ, ამხ. დევდარიანის მოხსენების თანახმად, დაადგინა: ვინაიდან სტატისტიკა ცხოვრების სარკე უნდა იყოს, მუშაობის ცხოველი მაჩვენებელი, მიწვეული იქმნეს საგანგებო მცოდნე—სტატისტიკოსი, რომელსაც დაეკისროს სტატისტიკა სათანადო დონემდე აიყვანოს.

**უმუშევართა შესაწევრად** საბმუშაკთა კავშირის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა თავის 9 წევრს ერთდროული დახმარება მისცეს ნახევარ მილიონიდან 2 მილიონამდე, სულ 15 მილიონი.

**„არაზინდის" სანატორიუმისა და შესასვენებელ სახლთა** თანხის გასაძლიერებლად საბჭმუშაკთა კავშირმა გადასდო 50 მილიონი, ამასთანავე კულტგანყოფილებას დაევალა, ამ საგნის თაობაზე იზრუნოს და კავშირის წევრთ ერთი დღის ხელფასი გადაადებინოს.

**მეტყავეთა** კავშირის წევრთა ყრილობა დანიშნულია 15 მაისს მთავტყავის გამგეობის ანგარიშებისა და სრულიად საქართველოს პროფკავშირთა ყრილობისათვის დელეგატების ასარჩევად.

**ტრანსპორტის მუშაკთა** კავშირის საბჭომ გადასწყვიტა, უმუშევართათვის გადარიცხულ 1 პროც. შემდგარ თანხიდან, დაუზღვევ უმუშევართ მიეცეს ორ-ორი მილიონი, აგრეთვე ამხ. ანტონიანს მოსთხოვა—საჩქაროდ გამოარკვიოს ამ მიზნით გამართულ საღამოს შემოსავლის რაოდენობა.

**აფხაზეთის პროფსაბჭოს** პლენუმის სხდომამ 24 აპრილს აირჩია საგანგებო კომისია (ამხ. პოდოლსკი, კუდრიშევი და რუტენი, მათ კანდიდატად—სუკოიანი, სათათბირო ხმით პროფსაბჭოს იურისკონსულტი ამხ. ფოგელევიჩი), რომელსაც დაეკისრა, შეადგინოს 6 თვისთვის საჭირო სახალხო მსაჯულთა მკვიდრი სია და სახალხო მსაჯულთა საბჭოს წარუდგინოს—„არაზინდის" სანატორიუმის და შესასვენებელ სახლთა სასარგებლოდ გადასდო ერთი დღის ხელფასი და გადასწყვიტა შემოწირულება შეკრიბოს.

**საჰაერო ფლოტისათვის** აფხაზეთის პროფსაბჭოს პლენუმმა გადასწყვიტა: 1) გაადიდოს თანხა აგრეთვე შეიკრიბოს შემოწირულება საჰაერო ფლოტის შესაძენად აფხაზეთის რესპუბლიკისათვის; 2) გადარიცხოს ერთი დღის ხელფასი წითელი საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ და 3) პროფსაბჭოს სამდივნომ ერთს თვეში მოასრულოს შემოწირულების შეკრება.

# გზა მშრომელ ხალხს.

ძველი რეჟიმის დროს ქართველ კალმოსან ინტელიგენციაში იყო ერთი ისეთი ნაწილი, რომელიც რუსულად წერას ეწყობოდა, მაგრამ არა რუსეთის დედა ქალაქებში, არამედ შიგ შუაგულ საქართველოში, მის დედა ქალაქში. მიზანი ასეთი მწერლობისა იყო, გაეცნოთ რუსთათვის, რუსთ ხელმწიფის მთავრობისთვის, რომელიც ტფილისში ბრძანდებოდა, ქართველი ხალხის საჭიროება. მაგრამ აქაური რუსული ფურცლები კავკასიონის ქედსა და შავ ზღვას იშვიათად თუ გასცილებია, მაშასადამე გავლენა რუსეთის დიდ საზოგადოებაზე სულ არ ჰქონია. რუსთ ხელმწიფობის აქაური აგენტები კი ერთხელვე აღებულ გეზს ჩვენი მშრომელი ხალხის ყოველ მხრივ გაჩანაგებისას არ ჰღალატობდნენ და გულში ამბობდნენ, ვინც რა უნდა სთქვას, წისქვილმა კი ფქვასო.

როგორც ვიცით რუსეთში ბატონყმობის გადაგდებას მოჰყვა დაწესება ერობისა, რომელიც გლეხთა საჭიროების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა, რამდენადაც შეიძლებოდა ხელშეუვალი ცარიზმის დროს, საქართველო კი ცენტრალისტებმა ასეთი დაწესებულების ღირსად არა სცნეს, რადგანაც ქართველ ხალხს ველურად სთვლიდნენ, ის კი არა თუ ერობა ცოტაოდენ თვითმოქმედების, თვითმმართველობის უფლებაძ აძლევდა ხალხსა და ეს შურდათ რუსიფიკატორ იმპერიალისტებს ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხისთვის. თავიდანვე ისეთი საფრთხე გაუჩინეს ერობის შემოღების საქმეს, რომ ძალა თუ დაჰხნავდა აღმართს, მაგრამ ძალა იგი ჯერ არსად სჩანდა. ქართველი მშრომელი ხალხი პასივ ელემენტს წარმოადგენდა სამოცდაათიან წლებამდე. ქართველი გლეხების საბოლოო განსათავისუფლებლად ხაზინამ გლეხის ნაოფლარი ფული გაიწყვიტა, რომ ბატონებისაგან გამოესყიდა ადგილ-მამული, რომელსაც გლეხობა ამუშავებდა და გადაეცა მათთვის. ამის გამო გააჩინეს ესრეთ წოდებული დროებით ვალდებული გლეხის ტიპი და ბატონთან მის მოსარიგებლად შემოიღეს მომრიგებელი შუამავლის თანამდებობა. საწყალი გლეხი გაიბაწრა, როგორც აკაკი იტყოდა ხოლმე. ბაწრის ერთი წვერი ბატონს ეჭირა ხელში, ხოლო მეორე წვერი მომრიგებელ შუამავალსა და ორნივე თავისკენ ეწეოდნენ ბაწრის წვერებსა. ვინ იცის, რამდენი ქაღალდი დახარჯულა და რამდენი რუსული შრიფტი გაცვეთილა, რომ ქართველ კალმოსნებს დაემტკიცებინათ აქაური უმაღლესი მთავრობისთვის საჭიროება რუსეთის მსგავსად საქართველოშიაც ერობის შემოღება, მაგრამ ამაოდ.

კულტურის საქმესაც ასე დაემართა. ჩვენი ისტორიული ცხოვრების მაშინდელნი მკვლევარნი პლ. იოსელიანი, დიმ. ფურცელაძე, დიმ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი და სხვა მრავალი შეძლებისდაგვარად უხატავდნენ რუსული წიგნების, თუ ფურცლების საშუალებით, მმართველ ბიუროკრატებს ქართველთ ისტორიულ-კულტურული ცხოვრების სურათებს, ერთმა მოცლილმა ბ. ბებურიშვილმა ქართული სათამაშოებიც კი აუწერა მათ შვილებს, მაგრამ არც მამების არც შვილების გულს არაფერი მიჰკარებია, ქართველი ხალხი მათთვის ისევ უკულტურო იყო და სიმუარის ოფლით მათი დაწერილი რუსული წიგნები და საგაზეთო წერილები ისევ ქართველთათვის საკითხავად გადაქცეულიყო, ასე რომ ერთგვარი პროპაგანდაც გამოდიოდა რუსიფიკაციისა. როგორც ავტორებს, ისე გადაგვარების გზაზე დამდგარს ერთ ნაწილს [illegible] გული მშობლიურ მწერ[illegible] აზროვნობასა და წერ[illegible].

საქმე ასე მიდიოდა, მაგრამ ქართველმა მშრომელმა ხალხმა სამოცდაათიანი წლებიდან თავი დააღწია თავის პასივ მდგომარეობას, რადგანაც თავ[…] გამოღებულ საზოგადოებრივ მოღვაწეთა წყალო[…]ბით მიჰხვდა, რომ ნამდვილი მონა იყო, ყოველგვა[…] უფლებას მოკლებული და იმპერიალისტური ცარიზ[…]მის და კაპიტალიზმის მსხვერპლად განწირულ[…]. მაგრამ რამდენათ მშობელი ხალხი ილვიძებდა, რა[…]დენ მეტ აქტიობას იჩენდა, ბიუროკრატიული მთა[…]რობაც იმდენ მეტ რეაქციას აწარმოებდა, რო[…] მოძრაობა ჩაექრო. შემოიღო რუსული ოფიციალ[…]რი ფურცლების გამოცემა პროვინციის ქალაქებშ[…], აქეზებდა კერძო პირებს ცენტრში, თუ განაპირ[…] რუსულისვე ფურცლების ბეჭდვით მხარი დაეჭირა[…] მთავრობის პოლიტიკისთვის, რადგანაც არ ჰსურ[…] კარგი რამ დაენახა მშობელი ხალხისა, რომლ[…] მისწრაფება-ოცნება, ცხოვრების სინამდვილე კიდ[…] სხვა იყო მის თვალში. ხოლო როცა ტფილისის ქ[…]ჩებმა იხილა წითელი დროშის აფრიალება, მეფ[…] სატრაპს და მის დამქაშებს ვერ აეტანათ, რომ ქუჩებ[…] გამოსული წითელ დროშიანი ხალხი პროვინციე[…] ხალხი იყო იმერლობა და თავიანთი **გოლოს კავკა[…]** გაზეთით ურჩევდნენ უმაღლეს მთავრობას, რომ[…] იმერლებისთვის აეკრძალათ ტფილისში შემოსვლ[…] ამ გვარად დაშნაკელთა დედაქალაქში თარეშობ[…] მისწრაფებას გადაეწნა ხულიგან მონარქისტებ[…] მისწრაფება, რომ საქართველოს ცენტრში გაეწყვ[…]ტათ ჭაჭანება პროვინციელების განსაკუთრებით [[…]] კორტოხ გადაღმელებისა. ავრცელებდნენ ძმათა[…]გ[…]თიშვის ხმებს, როგორმე გადმოღმელები მიემხრო[…] და მათი ხელით ნარი ეგლიჯათ. დღეს თვით მშრო[…]მელი ხალხი როგორც ლიხთ იმიერ, ისე ლიხთ ამ[…]ერ დარწმუნებულა თუ ტფილისის ქუჩებში პირვე[…]ლად წითელი დროშის ამფრიალებელს რა დი[…] სიყვარული ჰქონია გამჭვალული დაჩაგრული ხალ[…]ხისადმი, რომლის ზურგზედაც ვაჭარიც და ბიურო[…]კრატიც მალაყებს გადადიოდნენ, რომლის ხალხშია[…] როგორც რაფ. ერისთავი ბერუას ალაპარაკებს, ა[…]ყისგან გამტყვრალი გზირი ღორივით ჰგორავდა [[…]]გეო ვაჭარი ქორივით ნავარდობდა.

ქართველი ინტელიგენტი უფრო მარჯვე გ[…]მოდგა რუსეთის დედა ქალაქებში რუსის რევოლ[…]ციონერებთან ერთად მოღვაწეობით, რომელს[…] დაესახა ცარიზმის დამხობა. კალამს აჯობა გონ[…]ბის გამჭრიახობამ, სახალხო საქმისთვის გულის [[…]] თავის დადებამ და თუ რევოლუციამ გაიმარჯ[…] რუსეთში, ქართველ მოღვაწეთა რევოლუციონ[…] მგზნებარებას არა მცირედი მსხვერპლი გაუღ[…] გასათავისუფლებლად შრომისა, რომელიც კაპიტ[…]ლისტის და მემამულის ბრჭყალებში სულს ჰლ[…]ფავდა.

ჩვენი ბურჟუა ინტელიგენტები შემდეგში[…] განაგრძობდნენ რუსულად მწერლობას, მაგრამ ჩვე[…] მშრომელი ხალხი, როგორც უცოდინარი რუსულ[…] ენისა მათი გავლენის გარეშე იდგა. ფართო მას[…]ბის სულიერ ამოძრავებას, კულტურულად წვრთნ[…] არავინ სცდილობდა, ვიდრე ეს საქმე თავს არ იღ[…] სოციალისტურმა პარტიებმა. დღეს ქართულ[…] ბეჭდვითი სიტყვა ძლიერ ქუხილად მოსდებ[…] მშრომელი მასების წრეებს დედაქალაქში, თუ პრო[…]

# კოოპერაცია.

I.

საგანი, რომელზედაც ჩვენ გვექნება საუბარი, არ არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის ფართე მასებისათვისაც. ეს პირდაპირ საოცარი მოვლენაა! ჩვენს ქვეყანაში იშვიათია კუთხე, სადაც კოოპერატივი არ იყოს, კოოპერაციას კი ნაკლებად იცნობენ.

თუ თვალს გადავავლებთ ჩვენში კოოპერატივების დაარსების და მათი არსებობის ისტორიას, ჩვენთვის ადვილი იქნება ამ მოვლენის ახსნა.

თუმცა ჩვენ არ მოგვეპოვება სტატისტიკური ცნობები საქართველოს კოოპერაციის შესახებ, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ დიდი პროცენტი ჩვენი კოოპერატივებისა 1914 წლის შემდეგ დაარსდენ.

ისმება კითხვა: რამ გამოიწვია კოოპერატივების რიცხვის ასეთი სწრაფი ზრდა?

როცა ომის დროს ჩვენს ქვეყანას საშინელი სანოვაგის კრიზისი ეწვია, მხოლოდ კოოპერატივების საშუალებით შეიძლებოდა აუცილებელ საჭიროების საგნების შეძენა.

კოოპერატივების დაარსების დროს „მომხმარებელთა ინტერესის" შეგნება, რომელზედაც მე ქვემოთ მექნება ლაპარაკი და რომელიც უდიდეს როლს თამაშობდა უცხოეთის კოოპერაციის ზრდა-განვითარებაში, ჩვენში მეტად უმნიშვნელო როლს თამაშობდა.

ამით და კიდევ სხვა მრავალი მიზეზებით, რომელთა ანალიზს მე აქ არ შეუდგები, აიხსნება ჩვენი კოოპერაციის სისუსტე.

რომ დავიმტკიცოთ, თუ რა ძალას წარმოადგენს კოოპერაცია ამიტომ საჭიროა განვიხილოთ ევროპის კოოპერაციის ისტორია.

თანამედროვე კოოპერაციის მამამთავრებად რობერტ ოუენს და შარლ ფურიესა სთვლიან, მაგრამ კოოპერაციის ისტორიამ იცის კოოპერატივები, რომლებიც ფურიესა და რობერტ ოუენის კოოპერატიულ მოღვაწეობის დაწყებამდი დაარსდენ.

ასეთია მაგალითად გულის (ინგლისში) კოოპერატიული წისქვილი, რომელის 1795 თუ 1800 წელს დაარსდა და რომელიც ნ. ბიგნერის მოწმობით დღესაც არსებობს.

კოოპერაციას ამ პერიოდში (1800—1825 წ.) მრავალი დამხმანე აღმოუჩნდა შეძლებული კლასებიდან და სასულიერო წოდებიდანაც.

შეძლებული კლასები ქველმოქმედების მიზნით, სასულიერო წოდება კი თავისი გავლენის გაძლიერების მიზნით, დახმარებას უწევდა კოოპერაციას.

ბიგნერისავე გადმოცემით „კოოპერატიული ფურნეებიდინ პური. ერთის მხრივ ხელს უწყობდა კოოპერაციული ამხანაგობების დაარსებას, მეორეს მხრის აფერხებდა წმინდა კოოპერატიული პრინციპების გამომუშავებას, რადგან ფართე მასები კოოპერაციას საქველმოქმედო ორგანიზაციად თვლიდენ.

ასეა თუ ისე ეს პერიოდი კოოპერაციის განთიადად ითვლება ინგლისისათვის.

მაგრამ უფრო ფართე ასპარეზი გაუშალა კოოპერაციის განვითარებას რობერტ ოუნის კოოპერატიულმა მოღვაწეობამ.

რობერტ ოუნი დაიბადა 1771 წელს. ის ღარიბი ოჯახიდან იყო და თავის ზურგზე განიცადა ყველა ის საშინელებანი, რომელიც ინგლისის მშრომელ მასებს დაატყდა წარმოებაში ახალი გაუმჯობესებული მახქანების შემოღების გამო.

ბუნებით დიდი ნიჭით დაჯილდოვებული, ის ხ ედავდა ერთის მხრით მქონებელ კლასების კეთილდღეობას და მეორეს მხრით მშრომელი მასების საშინელ სიღატაკეს.

მის აზროვნებაში თანდათანობით მტკიცდებოდა რწმენა თანამედროვე სოციალური წყობილების გარდაქმნის საჭიროების შესახებ.

როცა ის 1800 წელს თავისი ნიჭის და საქმიანობის წყალობით ნიუ-ლანარსკის ქარხნის სათავეში მოექცა, ის შეუდგა თავისი განზრახვების განხორციელებას.

პირველ ყოვლისა მან მუშებისათვის ახალი და კარგი ბინები ააგო, სამუშაო დღე 14—15 საათიდან 10 ნახ. საათამდი შეამცირა, შრომის ხელფასი გაადიდა, ბავშვებისათვის გახსნა შკოლა, მოაწყო გასართობები და სხვა.

ოუენს სწამდა, რომ ახალი სოციალური წყობილების დასამყარებლად საჭიროა კაცობრიობის ზნეობრივად გარდაქმნაო. მასების ზნეობრივად ამაღლება კი მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით შეიძლებაო ამბობდა იგი.

ნიუ-ლანარკში შემოღებულმა წესებმა ქარხნის შემოსავალი არა თუ შეამცირა, გაადიდა კიდეც, რადგან ახალ პირობებში ჩაყენებული შრომა უფრო ნაყოფიერი იყო.

მიღწეულმა შედეგებმა უფრო გაათამამა ოუენი და მის აზროვნებაში **ახალი** სოციალური წყობილების ფორმები და ორგანიზაცია უფრო მოამწიფა.

ახალ სოციალურ წყობილებას ამ ქვეყნათ სამოთხე უნდა შეექმნა.

მაგრამ აი თვით ოუენის სიტყვები:

„ახლოვდება დრო, როცა გაქრება უმეცრების სიღარიბის, ძალმომრეობის და სიმხეცის ქვეყნის წყეული სისტემა. მის ნაცვლად მოდის ახალი ზნეობრივი ქვეყანა, ქვეყანა სადაც ყოველგვარი სიცრუე უაზრობა იქნება, სადაც ფული დაჰკარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას, სადაც სიღარიბეზე და ძალმომრეობაზე წარმოდგენაც არ ექნებათ; ქვეყანა სადაც თავსაყარია და ყველასათვის საყოფი იქნება ყოველივე; ქვეყანა, სადაც არ იქნება მონობა და დამცირება. სადაც უდიდესი თავისუფლება გარდიქცევა სიყვარულის და საერთო ინტერესით მოქსოვილ მტკიცე კავშირათ; ქვეყანა სადაც სიყვარულიდან აღორძინდება ბრწყინვალე ბედნიერება; ქვეყანა სადაც სიყვარული და გონება ბრძნულად განაგებენ კაცობრიობის ბედ-იღბალს".

ეს ამონაწერი ოუენის წერილიდან „ახალი ზნეობრივი ქვეყანა", ნათლათ ამტკიცებს, რომ ოუენის ახალ ზნეობას ქადაგებდა, მაგრამ ის დარწმუნებული, ზნეობრივი გარდაქმნა შეუძლებელია თუ არ გამოიცვალა ის სოციალური პირობები, რომელშიც კაცობრიობა ცხოვრობს.

ამ იდეით გატაცებულმა ოუენმა განიზრახა უდიდესი სოციალური ექსპერიმენტის მოხდენა, რომ დაემტკიცებია მთელი ქვეყნისთვის უპირატესობა მის მიერ გამოგონილ სოციალური სისტემისა, რომელსაც ზნეობრივათ უნდა გარდაექმნა კაცობრიობა,

როცა ოუენმა დაჰკარგა მქონებელი კლასების დახმარების იმედი, მან საკუთარი თანხით შეიძინა ამერიკაში შტატ ინდიანაში 10,000 დესეტინა მიწა. ეს ტერიტორია ეჭირა რაპპისტების სექტას. სექციის ცენტრალურ საცხოვრებელი იყო თემი ჰერმონია. სწორეთ ეს თემი შეიძინა 300,000 მანეთად ოუენმა დაარქვა „ახალი ჰარმონია".

როცა ოუენი ჩავიდა ამერიკაში თანამგრძნობები, რომლებიც მრავლათ მოიპოვებოდენ მათ და უკვე დაერსებიათ „თემების მოწყობის დამხმარე საზოგადოება" დიდის სიმპატიით შეხვდნენ მას.

ვაშინგტონში ოუენმა წაიკითხა საჯარო ლექცია, რომელსაც დაესწრენ შეერთებული შტატების მრავალი ცნობილი პირები და მათ შორის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

თავის ლექციაში ოუენმა აღნიშნა, რომ „ახალი ჰარმონია" პირველი ნაბიჯია მის მიერ გამოგონილი სოციალური სისტემის განსახორციელებლად, რომ შემდეგ მას მოყვება სხვა ასეთი თემების დაარსებაო.

„ახალი ჰარმონია" სწრაფად აივსო. არავითარი არჩევანი წევრთა მიღების დროს არ ყოფილა.

„ახალი ჰარმონიის" წევრთა რიცხვში იყვნენ ამერიკის მეცნიერული წრეების რამდენიმე წარმომადგენელნი, მაგალითად ფილადელფიის სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი გეოლოგი მაკლიური, ზოოლოგი სე, რომელმაც რამდენიმე თავისი შრომა დაბეჭდა „ახალი ჰარმონიის" სტამბაში, ზოოლოგი ლეზიური, ხიმიკოსი ტრუსტი და სხვები.

უმრავლესობას კი მუშები შეადგენდა*).

ერთი წლის შემდეგ „ახალი ჰარმონია" დაიშალა.

ტუგან-ბარანოვსკის სიტყვით**) მიზეზი თემის დაშლისა ის გარემოება იყო, რომ ის ვე[…]

*) Туган-Барановский „В поисках нового мира" გვ. 28.

**) იქვე—გვ. 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინციაში და ამასთან და ერთად მშობლური სკოლა და მშობლური დრამა ემსახურება მის მოქალაქობრივ სულიერ აღზრდასა. დასაპყრობი დარჩენია ერთი დარგი ხელოვნებისა—საოპერო მუსიკა და შორს არ არის ის დღე, რომ მშრომელმა ხალხმა მოსთხოვოს ქართველ მომღერლებს ევროპული ოპერების შესრულება ქართული სიტყვებით, იმ ენით, რომელიც ერთად ერთი გასაგები ენა არის მისთვის.

როგორც ქართველი ჟურნალისტი, ისევე ქართველი არტისტი მოვალეა ემსახუროს მშრომელ ხალხს, რომელსაც მისთვის იმდენი ამაგი გაუწევია, რომლისაც ენას გულის ხმაში ჩაუგდია და მელოდიებს კიდევ ყურთა სმენა დაუტკბია.

პეტრე მირიანიშვილი.

კვირას, მაისის 13, დღის 12 საათზედ

პარტიულ კლუბში (ლორის-მელ. № 1) დანიშნულია

პ. ჭანიშვილის

მოხსენება

# მარქსიზმის გამოცდა რუსეთის რევოლუციაში.

დასწრება შეუძლია თანამგრძნობთაც წევრის რეკომენდაციით.

# პროვინციაში

ს. ზეინდარი. ზეინდარი პატარა სოფელია ქ. ქუთაისიდან 20—24 ვერსტის მანძილზე დაშორებით. ამ სოფელს ადგილობრივი ინტელიგენცია ძალიან ცოტა ყავს. ზეინდარში არსებობს პატარა ბაზარი, არის თემის სამმართველო და საექიმო პუნქტი, შრომის შკოლაც და სხ.

მენშევიკების დროს იყო ცდა აფთიაქის გახსნისა.

ამხ. შამშე ლეჟავამ მაშინ ქუთ. სამ. ერობის საექიმო განყოფილების გამგე კიდეც დაპირდათ ადგილობრივ მცხოვრებთ, რომ თუ ისინი შეიძენდნენ ზეინდარში არსებულ საააფთიაქო საწყობს, მათ გაეხსნებოდათ ერობის აფთიაქი, მაგრამ მეპატრონესთან შესწორება მოუხერხებელი შეიქნა.

საქართველოს გასაბჭოების დროს სხვებთან ერთად ზეინდარის საააფთიაქო საწყობი მოყვა ნაციონალიზაციას და ქუთაისის ჯანმრ. გან. დაადგინა შეერთებოდა მახლობელ ს. ამაღლების აფთიაქს გასაფართოებლათ. ეს დადგენილება შეცვლილ იქნა ადგილობრივ მცხოვრებთა თხოვნით და აქ აფთიაქი დაარსდა 1921 წ. 27 აგვისტოს და გამგეთ დანიშნა ვუკოლ ამაღლობელი.

აფთიაქი დღეს თავის სიმაღლეზედ სდგას. მადლობის ღირსია აფთიაქის გამგე, რომელიც ხელს უწყობს საბჭოთა აფთიაქის ავტორიტეტის გაზრდას. მახლობელი აფთიაქები იჯარით გაიცა, რადგან შემოსავალმა ვერ დაფარა ხარჯები, ხოლო ზეინდარის აფთიაქი ისევ საბჭოთა აფთიაქათ არის დტოვებული.

კულტურული ცხოვრება მეტად მოდუნებულია. გაზეთები არ მოდის სისტემატიურად. „ტრიბუნა“ და „კომუნისტი“ როცა მოდის, ხალხისათვის მიუწვდომელია, რადგან არ არსებობს მისი სარგებლობა კოლექტიურად. მოთხოვნილება კი გაზეთებისა დიდია.

ადგილობრივი ინტელიგენციის მცირე კადრი ჩამოშორდა კულტურულ მუშაობას. საჭიროა, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს. ადგილობრივ ხელისუფლებას მართებს მეტი ინიციატივის გამოჩენა კულტურული მუშაობის სფეროში.

ზეინდარის სტუმარი.

# სხვა და სხვა

— **ექსპედიცია გემის ამოსაღებად** ინგლისელებმა შექმნეს ექსპედიცია ზღვის ძირიდან სამხედრო გემის „ლორენტიკის“ ამოსაღებათ, რომელიც ჩაძირულ იქნა 1917 წელს. ამ გემზე იმყოფებოდა ოქროს დიდი პარტია, რომლის ნაწილის გადარჩენა უკვე გახდა შესაძლებელი წყლის ქვეშ მცურავთა მიერ; აქამდე ამოღებული არის ოქრო 1,600.000 გირვანქის. ეს ოქრო გაბნეული არის ზღვის ძირში დაღუპულ გემის ახლოს და მისი აკრეფა მეტად ძნელი ხდება. სულ „ლორენტიკზე“ ოქრო იყო 5 მილიონი გირვანქის და გასაკვირიც არაა, რომ ინგლისის ექსპედიცია განაგრძობს მუშაობას მათ ამოსაღებად.

— **მკვდრის აღდგენა.** ამერიკაში, როგორც ვიცით, ყოველივე შესაძლებელია. ამიტომ გასაკვირიც არ უნდა იქნეს ის, რომ ერთმა ამერიკელმა ექიმმა ჯორჯ კრმილმა გამონახა საშუალება თვით სიკვდილის წინააღმდეგ ბრძოლისაც კი. ის ამტკიცებს, რომ აღადგენს მკვდარ ადამიანს, რომელსაც შეუშხაპუნებს გულის ქსოვილში ადრენალინს. ის სთხოვს სასამართლო ხელისუფლებას, რათა ნებადართონ ასეთი ცდის წარმოებისა იმ პირველ დამნაშავეზე, რომელსაც დასვამენ ელექტრონულ სკამზე სინგ-სინგში.

— **ბალეტი სასამართლოში.** პარიზის ერთ სასამართლოში ამას წინათ არაჩვეულებრივ შემთხვევას ქონდა ადგილი. სასამართლოს წინაშე წარსდგა მოცეკვავე ქალი რანა, რომელსაც ბრალი ედებოდა მასში, რომ ის თავის პარტნიორ გარრი პილცერთან ერთად ისე ცეკვავდა, რომ ამით შეურაცხყოფას აყენებდა საზოგადოებრივ ზნეობას. ჯერ კიდევ არ დაემთავრებია პროკურორს რამოდენიმე სიტყვის თქმა თავის მტკიცებების დასასაბუთებლად, რომ აღელვებულმა მოცეკვავე ქალმა გადაიძრო ქურქი, ერთი ნახტომით გაჩნდა მოსამართლის მაგიდის წინ და დაიწყო თავისი საუკეთესო ნომრების ცეკვა, რათა თვალნათლივ დაემტკიცებია, რომ ბრალდება მის წინააღმდეგ უსაფუძვლო იყო. მხოლოდ დიდის გაჭირვებით მოუწოდეს მოცეკვავეს წესრიგისაკენ, რომლის საქციელმა მეტად გააცხარა დამსწრენი, რომლებიც სასამართლოს დარბაზიდან უცბათ ტანცლობაში მოხვდენ. განაჩენი ამ საქმის გამო ჯერ კიდევ არ არის შემოტანილი.

— **ნიუ-იორკის 25 წლის** [illegible] წელს სრულდება 25 წელი [illegible] ნიუ-იორკის შექმნიდან, რომელიც [illegible] რამოდენიმე წვრილ ქალაქისაგან (ნიუ-იორკი, ბრუკლინი და სხ.) შეიქნა. ნიუ-იორკის მერს უნდოდა იუბილეს საზეიმო გადახდა და ამ მიზნისათვის უკვე დაიწყო დიდი თანხების ხარჯვა ქალაქის სალაროდან. მაგრამ ამერიკელი ხალხი მეტად ეჭვიანი და პრაქტიკოსია და ქალაქის კონტროლიორმა დაუყონებლივ წამოაყენა მერის წინააღმდეგ ბრალდება მასში, რომ ის ზეიმს აწყობს, არა იმდენად საზოგადოებრივი სარგებლიანობისთვის, რამდენადაც თავისი საკუთარი რეკლამისათვის და ამასთან თანხის რამოდენიმე ნაწილს, რომელიც ზეიმისათვის არის დანიშნული, ჯიბეში იდებსო. კანტროლიორმა ამერიკული ადათის მიხედვით, სასამართლოს მიმართა, რომელმაც განმარტა, რომ შეუძლებელია ქალაქის ფულების ხარჯვა დღესასწაულებისთვისო; ქალაქის მერი იძულებული გახდა ყველა მზადება შეეჩერებია.

# საშუალო განათლების კურსები.

**(შალვა ნუცუბიძისა(**

მეხუთე წელია, რაც ტფილისში დაარსდა საშუალო განათლების სალამოს კურსები. ამ კურსებით საშუალება ეძლეოდა ყველას, ვინც ჩამორჩენილი იყო მიეღოთ საშუალოთ განათლება. მაგრამ ამ ბოლო დროს მეტათ აუტანელი შეიქმნა განათლების მიღება შ. ნუცუბიძის კურსების საშუალებით. მე არ შევუდგები ყველა ნაკლის ჩამოთვლას. მაგრამ ერთი კი უნდა აღვნიშნო, რომელიც იძულებულს ჰხდის ღარიბ ხალხს თავი დაანებოს სწავლას, გასულ წელში კურსების ადმინისტრაციამ შემოიღო გადასახადი სემესტრში მილიონ ნახევარი; თუმცა ეს გადასახადიც აუტანელი იყო ღარიბთათვის, მაგრამ უმრავლესობა განაგრძობდა სწავლას. მიუხედავათ ამისა კურსების ადმინისტრაცია მაინც არ დაკმაყოფილდა ასეთი გადასახადით და იმავე სემესტრში შემოიღო თვიურად ხუთასი ათასი მანეთი (500,000 მან.), მეორე სემესტრში კი მილიონს გვახდევინებდა, რომლის შედეგი იყო რამოდენიმე ამხანაგების გასვლა კურსებიდგან, რასაც შ. ნუცუბიძემ არავითარი ყურადღება არ მიაქცია; როდესაც ღარიბი მსმენელი მიმართავდა ნუცუბიძეს თხოვნით, ის უპასუხებდა: „კურსები ფულიანებისათვის არისო:

თუ არ შეგიძლია გადახდა, მიბრძანდიო“. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ გადასახადიდგან ვინმე გაენთავისუფლებიოს.

ბ. შ. ნუცუბიძე არც ამ გადასახადმა დააკმაყოფილა და თვიური გადასახადი ბირჟას შეუფარდა. პირველი აპრილიდგან შემოიღო თვიურად ორმანეთნახევარი, რამაც დიდი აღელვება გამოიწვია მსმენელებს შორის. აღელვებულმა მსმენელებმა საჩივარი შეიტანა განათლების კომისარიატში. ბ. ნუცუბიძეს არ მოეწონა ასეთი მოქმედება, დაიბარა მსმენელებიდგან საბჭოს წევრები, მიმართა მათ უშვერი სიტყვებით: ლაწირაკები, ვირები, სტოლზე ხელის ცემით დაემუქრა კურსების დახურვით; ნუცუბიძის ასეთი მოქმედებით შეშინებულებმა საბჭოს წევრებმა დაეთანხმენ თვეში ორ მანეთზე. ასეთი გადასახადი უმრავლესობას იძულებულს ჰხდის სწავლას თავი დაანებოს, რაც არა სასურველი იქნება სახელმწიფოსათვისაც და მე დარწმუნებული ვარ განათლების კომისარიატი არ დასტოვებს უყურადღებოთ ნუცუბიძის ასეთ მადაგახსნილობას.

მსმენელი

P, S.. როგორც ხმები დადის, სახალხო განათლების კომისარიატი განსაზღრულ პროცენტს ღარიბ მსმენელებისას ანთავისუფლებს სწავლის ფულისაგან. მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ს. გ. კომისარიატის წარდგენის თანახმად და ან თვით შ. ნუცუბიძეს ვინმე გაენთავისუფლებიოს სასწავლო ფულიდგან. იცის თუ არა ეს ს. გან. კომისარიატმა?

აქვს თუ არა კომისარიატს რაიმე კონტროლი ამ საქმეზე?

# მეცნიერება და ტეხნიკა

— **დიდი ტვინის ოპერაცია.** გამოჩენილმა გერმანელმა ქირურგმა ტვინის ოპერაციების სპეციალისტმა თედორ კრაუსემ ქირურგების ბერლინის კონგრესზე წაიკითხა მეტად საინტერესო მოხსენება დიდი ტვინის ოპერაციების შესახებ; ეს ოპერაცია მის მიერ გაკეთებული იქნა პაციენტზე, რომელიც იტანჯებოდა ეპილეფსიის გმიმეფორმით. ეს მოხსენება მით უფრო საინტერესო შეიქმნა, რომ გული ოპერაცია ფილმით იქნა გადიდებული, რომელსაც მოხსენების დროს აჩვენებდენ. კრაუზეს მიერ აღნიშნული ეპილეფსიის შემთხვევა არის ე. წ. ჯაკსონის ეპილეფსია, ე. ი. დიდი ტვინის სუბსტანციის დაავათმყოფება, რომელიც იწვევს კონვულსიურ ბნედას კუნთების ერთ განსაზღვრულ ჯგუფში; ამის გამო შესაძლებელია დალამდვილებით გაგება, თუ დიდი ტვინის რომელი ნაწილია დაავათმყოფებული. რადგან ამ პაციენტს ბნედა გავრცელებული ქონდა მარჯვენა ხელსა და ფეხზე, ამიტომ შეიძლებოდა იმ დასგანის გამოტანა, რომ მას დაავათყოფებული ქონდა ტვინის მარცხენა ნაწილი, დაწყებული წარბებს ზევით შუა ქალამდი: მთელი ეს ნაწილი თავის ქალისა, ოპერაციის დროს გადახსნილ იქნა; ტვინის გარსი გაჭრილ იქნა და ტვინი სავსებით თავისუფლად ეწყო ქირურგის დანის ქვეშ. შემდეგ ელექტრული ნაკადის საშუალებით დანამდვილებით იქნა გაგებული, თუ ტვინის რა ნაწილები განაგებენ სხეულის იმ ნაწილებს, რომელთაც ბნედის სიმპტომები აქვთ ეპილეპსიის დროს. ტვი-

ქმნიდა წევრების გამოსაკვებად საკმაო პროდუქტებს.

საქსენ-ვეიმარის გერცოგის ცნობით, რომელმაც „ახალი ჰარმონია“ ინახულა 1826 წელს, „ჰარმონიის“ მცხოვრებნი მეტად ბევრ დროს ანდომებდენ ცეკვას.

ცეკვა კი, როგორც სამართლიანად შენიშნავს ტუგან-ბარანოვსკი შრომის მაგიერობას ვერ გასწევდა.

ამრიგად ოუენის სოციალური ექსპერიმენტი დამარცხებით დამთავრდება.

მაგრამ არ მოკვდა თანამშრომლობის პრინციპი, რომელსაც ოუენის პრაქტიკულმა მოღვაწეობამ ახალი სოციალური წყობილების შესაქმნელად დიდი ხნით ცხოველმყოფელი გახადა და უკვდავყო კოოპერაციის განვითარების შემდეგი ისტორია სავსებით ამართლებს 88 წლის ოუენის მიერ სიკვდილის წინ ნათქვამ სიტყვებს „არა, ჩემ ცხოვრებას ამაოთ არ ჩაუვლია“-ო.

მეორე უდიდესი მქადაგებელი კოოპერატიული იდეებისა იყო ფრანგი შარლ ფურიე.

ის დაიბადა 1772 წ ბაზანსონის ვაჭრის ოჯახში დედმამის სიკვდილის შემდეგ მან ხელი მიჰყო სპეკულიაციას, რომელმაც შთანთქა მთელი მისი გონება.

ამის შემდეგ ფურიე ორ წელიწადს სამხედრო სამსახურში იყო, შემდეგ კი ერთ-ერთ კოლონიალურ ფირმაში დადგა ნოქრათ.

სწორეთ ამ სამსახურის დროს დაებადა მას ის აზრები, რომელმაც აიძულა საფრანგეთის ცნობილი კოოპერატორი და ეკონომისტი შარლ ჟიდი მისთვის „გადარეული ადამიანი“ ეწოდებია. *)

ორმა უბრალო მაგალითმა გამოიწვია ფურიეში რწმენა თანამედროვე სოციალური წყობილების, ანუ როგორც ფურიე ამბობდა წარმოების და განაწილების, ახალ საფუძვლებზე მოწყობის საჭიროებისა.

ფირმის პატრონები, სადაც ფურიე მსახურობდა სპეკულიაციას ეწეოდენ ბრინჯით.

ფასების აწევის მიზნით, ისინი ხშირად მალავდენ ბრინჯს ისე რომ ძალიან ბევრი ბრინჯი დალპა და იძულებული გახდენ, რომ გადაეყარად.

ფურიე ძლიერ დააფიქრა ამ გარემოებამ. იმ დროს, როცა მშრომელი მასები სიმშილით კედებოდენ. ვაჭრის საწყობში აუარებელი ბრინჯი ლპებოდა.

ეს ხდებოდა იმიტომ რომ ნაშრომი შუამავლის ხელში გადადიოდა, რომელიც მის რაციონალურად განაწილებაში კი არ იყო დაინტერესებული, არამედ სპეკულიაციის საშვალებით სიმდიდრის შეძენაში.

მეორე მოვლენა, რომელმაც თანამედროვე წარმოების და განაწილების გარდაქმნის საჭიროებამდი მიიყვანა ფურიე აწერილი აქვს შ. ჟიდს და მოვიყვან მისივე სიტყვებით: *)

„ერთხელ, ახალგაზრდობაში, ფურიე ნორმანდიიდან პარიზს გაემგზავრა, სადაც ისადილა რესტორანში და დესერტად ვაშლი მიირთვა, რომლისთვისაც 10 სუ უანგარიშეს, მოაგონდა მას, რომ რამოდენიმე დღით ადრე ნორმანდიაში სადაც ბევრი ვაშლი მოდის—იყიდა ასეთივე ვაშლი 2 სუ მთელი დუჟენი! იმ ფაქტმა, რომ ერთი და იგივე საგანი შესაძლოა გაიყიდოს ნამდვილ ღირებულებაზე 60 ჯერ მეტად, აფიქრებია მას, რომ არსებულ საზოგადო მექანიზმში იმარხება დიდი ნაკლი.

ეს ნაკლია—შუამავლობა.

სოციალისტური ორგანიზმის გასაჯანსაღებლად საჭიროა წარმოების და განაწილების ისეთი ორგანიზაცია, რომ შუამავლები საჭირო არ იყოს.

აი სად არის კავშირი ფურიეს ქადაგებასა და თანამედროვე კოოპერატიულ მოძრაობას შორის.

წარმოებისა და განაწილების არსებული ფორმების კრიტიკიდან ფურიე, მივიდა დასკვნამდი, რომ საჭიროა ახალი სოციალური სისტემის შექმნა, რომ საზოგადოება ახალ საფუძვლებზე მოეწყოსო.

არსებულ სოციალურ წყობილებას ფურიე ირონიულათ „ცივილიზაციას“ უწოდებდა.

შემდეგი ეპოქა ფურიეს აზრით იქნება ეპოქა „გარანტიზმისა“.

გარანტიზმის დროს კაპიტალის თავისუფლება და მშრომელი მასების ექსპლოატაცია შეზღუდული იქნება მუშათა სხვა და სხვა ორგანიზაციებით: აქ ფურიე ასახელებს მომხმარებელთა საზოგადოებებს, საკრედიტო ამხანაგობებს, გამსაღებელ კოოპერატივებს და სხვა. *)

გარანტიზმი გარდამავალი ხანაა შემდეგ ეპოქაში, რომელსაც ფურიე ჰარმონიას უწოდებს.

ჰარმონიულ ეპოქის დროს, უნდა მოწყობილი იქმნეს უმაღლესი ასოციაცია—ფალანგა, სადაც წარმოება და განაწილება მტკიცედ და უშუალოდ იქნებოდა დაკავებული ერთმანეთთან.

ფურიეს ფალანგაში სოფლის მეურნეობა და მრეწველობა შეერთებული იქნება.

ეკონომიის მიზნით ფალანგის ყველა წევრები 300—400 სული, იცხოვრებენ საერთო სასახლეში. რომელსაც ფურიე ფალანგერს უწოდებს.

ფურიე დარწმუნებული იყო, რომ ჰარმონიაში შრომა ყველასათვის სასიამოვნო გახდებოდა.

ფალანგაში სხვა და სხვა შრომა ე. წ. სერიებად უნდა ყოფილიყო დაყოფილი; როცა რომელიმე წევრს მობეზრდებოდა ერთი სამუშაო ის გადავიდოდა მეორეზე.

აქედან ცხადია, რომ ფურიეს ფალანგებსაც ისეთივე ბედი ეწვეოდა, როგორც ოუენის თემებს, რადგან ვერც ფალანგები შექმნიდა თავისი წევრებისათვის საკმაო პროდუქტებს.

შრომის თავისუფალი არჩევანი შესაძლებლად გახდიდა, რომ შრომის რომელიმე ერთ დარგში დამზადებულიყო აუარებელი პროდუქტები, მეორე —ასეთივე საჭირო დარგში კი სულ არაფერი ან ძლიერ ცოტა.

მაგრამ ფურიე დარწმუნებული იყო, რომ ადამიანის სხვა და სხვა შრომისაკენ მისწრაფებასა და საზოგადოების მოთხოვნილებებს შორის არის ერთგვარი ჰარმონია, რაც საშვალებას იძლევა ფალანგაში დამზადდეს ის საქონელი და იმდენი, რამდენიც საჭირო არისო *).

ოუენი დარწმუნებული იყო, რომ ცუდათ მოწყობილი სოციალური ორგანიზაცია ქმნის ცუდ ზნეობას. საჭიროა, რომ გარდაიქმნას სოციალური ორგანიზაცია და „ახალი ზნეობრივი სამყარო“ შეიქმნებაო.

ფურიე კი ადამიანის მისწრაფებების სრულ თავისუფლებას ქადაგებდა არსებულ სოციალურ ორგანიზაციას ის იმიტომ კი არ ამსხვრევდა, რომ „ახალი ზნეობრივი სამყარო“ შეექმნა, არამედ სრული თავისუფლება მიეცა ადამიანის მისწრაფებებისა და სურვილებისათვის.

ადამიანს არა აქვს ცუდი მისწრაფებები და სურვილები, ცუდია სოციალური ორგანიზაცია, რომელიც ბორკავს ადამიანს.

ფალანგაში კი ადამიანის მისწრაფებები თავისუფალია. ფურიე ოცი წლის -განმავლობაში დანიშნულ დროზე უცდიდა კაპიტალისტს, რომელიც იკისრებდა მის მიერ გამოგონილი სოციალური სისტემის პრაქტიკულად განხორციელებას.

მისი აზრით პირველ ფალანგის მოწყობისთანავე მთელი ქვეყანა ასეთი ფალანგებით მოეფინებოდა.

ფურიე ვერ მოესწრო თავისი ოცნების განხორციელებას.

მისმა მიმდევრებმა სცადეს ფურიეს ფანტაზიის განხორციელება, ერთი ასეთი ფალანსტერი გიზში (ფრანგი) ახლაც არსებობს, მაგრამ ამით სოციალური წყობილება არ გარდაქმნილა.

კოოპერაციის შემდეგმა განვითარებამ უარყო უტოპიური ნაწილი ფურიეს და ოუენის კოოპერაციული აგიტაციისა, მიიღო მისგან ის, რაც არსებულ წესწყობილებაში საშვალებას მისცემდა მას მშრომელი მასებისათვის მაქსიმუმი დახმარება გაეწია და მით უზრუნველყო თავისი არსებობა.

კოოპერატიული საქმიანობის სწორ პრინციპზე აგება შესძლეს როჩდელის ე. წ. „პატიოსანმა პიონერებმა“.

(შემდეგი იქნება)

№

*) შარლ ჟიდი „კოოპერაცია“ წიგნი 1 გვ. 17.

*) იქვე გვ. 25.

*) Туган-барновскии В поисках новаго мира гв. 21.

*) Туган-Барановскии „Искание новаго мира“ გვ. 13.

ნის მთელი ეს დაავადმყოფებული ნაწილი ამოჭრილი იქნა, რადგან უკვე დიდი ხანია რაც დამტკიცებულია, რომ შესაძლებელია ადამიანს ამოჭრას განსაკუთრებული გაბედვის ზარი 30×24 მილიმ. ტვინის სუბსტანციისა. ამის შემდეგ ქალი ისევ [illegible] ოპერაციის შემდეგ რამოდენიმე ხანს [illegible] მარცხენა ნაწილი და მარჯვენა ხელფეხი დამბლა დაცემული იყო, მაგრამ ოთხი კვირის შემდეგ ტვინის ფუნქციის დროებითი დეფექტის სიმპტომები გაქრა. ფილმაზე ნაჩვენები არის, რომ პაციენტი სავსებით ჯანმრთელადაა და თავს გაცილებით უკეთ გრძნობს, ვიდრე ოპერაციამდე იყო. ოპერაციის შემდეგ განვლილი ნახევარი წლის განმავლობაში პაციენტს აღარ ქონია მნედა ეპილეპსიისა და მისი სამუშაო ძალა სავსებით აღდგენილი არის.

# ქრონიკა

**ვანო სარაჯიშვილის იუბილეს მომწყობი კომიტეტისაგან.**

წელს შესრულდა ოცი წლისთავი, რაც ოპერის მომღერალი ვანო სარაჯიშვილი დაიწყო მოღვაწეობა, როგორც პროფესიონალმა მომღერალმა.

ვანო სარაჯიშვილის სახელი ყველა თეატრალისათვის ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიაც.

[illegible]

ოპერის მომღერლის **ვანო სარაჯიშვილის** 20 წლის იუბილე, რაც გაიმართება ტფილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში.

დაწვრილებითი პროგრამა ცალკე იქნება გამოცხადებული.

გაცნობებთ რა ამას, საიუბილეო კომიტეტი გთხოვთ წინასწარვე შეატყობინოთ მას—რა სახით ისურვებენ მიიღონ მონაწილეობა ამ კულტურულ დღესასწაულში. კომიტეტის მისამართი—ტფილისი სახელმწიფო ოპერის თეატრში.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის განათლების კომისარი **დ. ვ. კანდელაკი.**

საიუბილეო კომიტეტის წევრნი: **ალ. წუწუნავა, ვანო ფალიაშვილი, კოტე მარჯანიშვილი, კოტე მაყაშვილი, ვასო აბაშიძე, გრ. რობაქიძე, სერგო ევლახიშვილი, ილ. ზურაბიშვილი, ლადო სვიმონიშვილი, ვასო კილოსანიძე, მელიტონ ბალანჩივაძე, დიმ. შევარდნაძე და სოლომონ ახვლედიანი.**

1923 წ. ტფილისი.

## ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც ტფილისის სახელმწიფო I და II კონსერვატორიის ესტრადებმა იხილეს ქართველი ახალგაზდა მუსიკოსთა მიერ ახმაურებული ქართული მუსიკა.

ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში საქართველო და, კერძოთ ტფილისი, მოწამე იყო იმ დუღილისა, რომელსაც ადგილი ქონდა ხელოვნების ზოგიერთ დარგებში და რომელსაც შედეგად მოყვა ერთგვარი მიმართულების მიღება, შედარებითი გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბება.

მაგრამ ასევე გადაჭრით არ შეიძლება ითქვას ქართული მუსიკის შესახებ: აქ სხვადასხვა მიზეზების გამო სხვა გვარი სურათი იშლება ჩვენს თვალწინ.

ვისაც სურს ქართული მუსიკისა და ქართველ მუსიკოსთა ხილვა—უნდა ეძებოს არა უშუამავლო მუსიკალურ საქმიანობის ასპარეზზე, არამედ კონსერვატორიების დირექციებში და განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ სახელოვნო კომიტეტში.

ის მიზანი, რომელიც დასახული ქონდა ყოფილ ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას თითქო შესრულებულად და ამოწურულად უნდა ჩაითვალოს.

ქართული კონცერტი, ქართული მუსიკა სანატრი გახდა საზოგადოებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟამად მეტი შესაძლებლობაა მათ მოსაწყობად. არის მუსიკალური ძალები, ადგილიც.

ხელოვნების სასახლის დაარსებიდან დღემდე ამ სასახლის შენობა ვერ ეღირსა მოხსენებას მუსიკის შესახებ და ეს მაშინ, როცა ამ სასახლესთან არსებობს მუსიკოსთა სექციაც.

ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსებმა უკვე ორი კონცერტი გამართეს, საზოგადოების სამჯავროს წინ წარსდგენ. საჭიროა წინდაწინვე გათვალისწინებულ იქნას ის დაბრკოლებები, რომელნიც, შესაძლოა, მათ გადაეღობოს წინ და რომელთა დაძლევა, იმავე დროსვე იქნება ახალგაზრდა მუსიკოსთა გამარჯვებაც.

ახალგაზრდა მუსიკოსთა გამოსვლა მეტად მნიშვნელოვანია. საჭიროა ამის შესახებ ვრცლად ვისაუბროთ.

**შალიკო ლეკვიაშვილი.**

## სახალხო დრამატიულ დასის 30 წ. იუბილე.

ოთხშაბათს, მაისის 9, სახალხო სახლის სარეპეტიციო დარბაზში გაიმართება საერთო კრება იმ პირთა, რომლებიც მოღვაწეობდნენ სახალხო სახლის დრამატიული დასის ირგვლივ. კრების მთავარი კითხვა იყო—სახალხო დრამატიული დასის 30 წლის იუბილეს მოწყობა. ამ კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ ს. ახვლედიანმა, იუბილეს გადახდა ერთხმად იქნა მიღებული და დაევალა გამგეობას ეს დიადი დღე ფართო მასშტაბით და ღირსეულად იდღესასწაულონ 10 ივნისს 1923 წ.

— **კომიტეტის კრება.** კვირას 13 მაისს რუსთაველის თეატრის კანტორაში დანიშნულია სახალხო დრამატიული დასის საიუბილეო კომიტეტის საერთო სხდომა. სხდომაზე საბოლოოთ უნდა გამომუშავდეს იუბილეის მოწყობის გეგმა. დასის გამგეობა ყველა კომიტეტის წევრებს სთხოვს სხდომას აუცილებლივ დაესწრონ.

— **საიუბილეო კრებული.** გადაწყვეტილია სახალხო დრამატიული დასის იუბილეის დღეს გამოიცეს კრებული, რომელიც შემდეგი შინაარსის იქნება: 1) ისტორია სახალხო დასის 30 წლის მოღვაწეობისა 2) ყველა დასში მყოფ და მოღვაწე პირთა სურათები და ბიოგრაფიები, 3) საერთო რეპერტუარის კრიტიკული განხილვა, 4) მოგონებები და სხვა მასალები.

## ფოტოგრაფია საქართველოში.

I

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ვცხოვრობთ ტეხნიკის და ხელოვნების უაღრესად განვითარების საუკუნეში. მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტურ ხანაში მთავარი ყურადღების საგანი უნდა იყოს ხელოვნების, ტეხნიკის და მეცნიერების დარგები, დღეს ზოგი დარგი ხელოვნებისა უყურადღებოდ არის დატოვებული და არამ თუ ვინმე ზრუნავს მისთვის, არამედ ნათელი წარმოდგენაც კი არა აქვს ბევრს მასზე. ავიღოთ მაგალითად ფოტოგრაფია. დღევანდელი მეშჩანური საზოგადოება ფოტოგრაფიას, ე. ი. სინათლით ხატვას ისე უყურებს, როგორც უბრალო ხელოსნობას, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ხელოვნებასთან. რასაკვირველია, ასეთი შეხედულება სინათლით ხატვაზე ყალბი წარმოდგენაა და ვინც ასე ფიქრობს, იგი ხელოვნების გაგებას ისე დაცილებული ყოფილა, ვით ცა დედამიწას. სამწუხაროდ, ასეთმა ყალბმა წარმოდგენამ ფესვები გაიდგა თვით სხვა და სხვა დარგის ხელოვან მხატვრის შორისაც. თვითონ სიტყვა „ფოტოგრაფია“ გადაიქცა სინონიმად მეხანიკურ-ხელოსნურ გადაღებისა ამა თუ იმ საგნისა. პატივცემულ მკითხველს მოეხსენება, რომ ხელოვანი ჰქვიან იმას, ვინც თავისი საკუთარი ფანტაზიით რაიმეს ჰქმნის, ანუ ხატავს. თუ მხატვარი ფერადი სალებავების საშვალებით ხატავს თავის ფანტაზიის ნაყოფს, ფოტოგრაფიც ამ შემთხვევაში, ისევე ხატავს პორტრეტს პოზის მიცემით და ხელოვნური სინათლის მიშუქებით. როგორც მხატვარს, შეუძლიან დაამახინჯოს ადამიანის სახე, თუ იმან არ შეურჩია ფერები ერთმანეთს ტეხნიკის მოთხოვნილების მიხედვით. აგრეთვე ფოტოგრაფს შეუძლიან დაამახინჯოს ისევე, თუ იმან არ მიაშუქა სინათლე სახეზე თანახმად და სრულის წესით ფოტოგრაფიის ტეხნიკისა.

ამ გვარად ფოტოგრაფი ისევე, როგორც მხატვარი, უნდა ვაღვიაროთ ხელოვნად და არა ხელოსნად. თუ ვიტყვით მას, რომ ყველა ფოტოგრაფი არ არის ხელოვანი და მათში ფინაჩები ბევრია, განა ასეთივე ფინაჩები არ არიან უმრავლესობა დღევანდელი მწერლებისა, არტისტებისა, მხატვრებისა და სხ. მაგრამ განა ამიტომ ვისმეს მოუვა თავში მხატვრობა, მწერლობა და არტისტობა ხელოვნება არ არისო?

ტფილისის ფოტოგრაფები დღეს ირიცხებიან ხელოსნების კავშირში. ასეთ მოვლენას შეცდომითი ხასიათი აქვს, რადგან ხელოვანი უნდა ირიცხებოდეს არა ხელოსანთა კავშირში, არამედ—ხელოვანთა კავშირში.

ფოტოგრაფია, როგორც ხელოვნება, ევროპაში აღორძინდა ამ 40—50 წლის წინეთ და დასტურებულია კანონით 30—35 წ. წინეთ, სადაც ფოტოგრაფ-მხატვრებს ენიჭებათ ავტორის უფლება. ამ კანონის სანქციის გამო ევროპაში გაიხსნა მრავალი სახელმწიფო და კერძო ფოტოგრაფიული სტუდიები სამი ხარისხის: მდაბალი, საშუალო და უმაღლესი. პირველისათვის არავითარი სწავლის ცენზი არ იყო საჭირო და იქიდან გამოდიოდენ მეხანიკური მომუშავენი. მეორისათვის საჭირო იყო განსაზღვრული განათლების ცენზი და ასწავლიდნენ იქ შემდეგ საგნებს:

1) ხატვა და თეორია, 2) ისტორია ფოტოგრაფიისა, 3) ქიმია (ელემენტალური), 4) ფიზიკა (ელემენტარული), 5) ელემენტარული გაცნობა ფოტოგრაფიის ყველა დარგებისა, 6) პორტრეტების კომპანოვკა და მოდელის შუქის მიცემა ზევითური, გვერდის და წინის და კომბინაცია ყველა სამივე დარგის სინათლისა, 7) ფოტოგრაფიის ტეხნიკა, 8) ლაბორატორიის საქმე, 9) რეტუში და გაცნობა სახის ნაკვეთისა, 10) ბეჭდვა ყველა არსებული საშვალებით, 11) მონტიროვკა და სხ. არსებობენ განსაკუთრებით გერმანიაში, უმაღლეს სასწავლებელთან (უნივერსიტეტი) უმაღლესი სტუდიები, რომლის გათავების შემდეგ აძლევენ დიპლომს ნასწავლ ფოტოგრაფ-დოქტორის ხარისხით.

რუსეთში 1917 წ. რევოლიუციამდე ფოტოგრაფია იყო შეერთებული სამხატვრო აკადემიასთან და არ ითვლებოდა ხელოსნობად. თხუთმეტ მარტს 1911 წელს გამოიცა კანონი, რომელმაც გაიარა ყველა ინსტანციები: სამხატვრო აკადემია, სახელმწიფო სათათბირო, საბჭო და სხ., რომელთაგანაც ფოტოგრაფია იქნა ცნობილი, როგორც ხელოვნება და მიენიჭა ფოტოგრაფს ავტორის უფლება, თანასწორად პოეტების, მხატვრობისა, კომპოზიტორებისა და სხ. იყო აგრეთვე გამოცემული კანონი, რომლის ძალითაც ფოტოგრაფიას არ ეხებოდა სასარეწაო მოწმობა და თავისუფალი იყო გადასახადებისაგან. მენშევიკების დროს ეს კანონი უარყოფილ იქნა და ფოტოგრაფია შეუერთეს ვაჭარ-სპეკულიანტებს და ფოტოგრაფებიც დღემდე ვაჭრებთან თანაბრად იხდიან ყოველგვარ გადასახადს. ასე იყო წინეთ, მაგრამ ახლა საჭიროა ყურადღება მიექცეთ ფოტოგრაფიებს და განთავისუფლებულ იქნენ ისინი სარეწაო მოწმობის აღებისაგან და სხვა გადასახადები გადახდეთ შემოსავლის შეფარდებით. აგრეთვე საჭიროა აღდგენა ავტორის უფლებისა, 2) დაარსება ხელოვანთა კავშირთან თვითმშრომელ ფოტოგრაფთა კავშირისა, 3) გახსნა სახელმწიფო ფოტოგრაფიულ სტუდიისა. ეს უკანასკნელი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რადგან წარსულ ოთხი წლის განმავლობაში, ტფილისში, არც ერთ ფოტოგრაფს მოწაფე არა ჰყოლია და 168 თანამშრომელ ფოტოგრაფთაგან დარჩა მხოლოდ 8—10 კაცი, და თუ ასე გაგრძელდა კიდევ, მალე საქართველოში ფოტოგრაფი სანთლით საძებარი შეიქნება. კითხვა ასეთი სტუდიის შესახებ უკვე აღძრული იყო სახალხო განათლების კომისარიატში, ცნობილ ტფილისის ედუარდ კლარის მიერ, მაგრამ, სამწუხაროდ, უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

**ვარლამ ჩლაიძე.**

## უცხოეთი.

**ვინაა ტარზანი.** ყველაზე უფრო ნითელი, მოკლე და რომანტიული კინო-არტისტი [illegible] ელა ს. სერლეს, რომელიც ყველაზე მეტად ცნობილი არის მის მთავარ როლში—„ტარზანში“. დედის მხრით ის ჰავაელი არის: დედა-მისი ცნობილი ლამაზი ქალი იყო კუნძულ ჰავაიდან; მამით კი შოტლანდიელი არის. 17 წლის რომ იყო, ის კალიფორნიაში ჩამოვიდა და ბოქსერი გახდა, მაგრამ არა დიდი ხნით. შემთხვევით ის მოხვდა ლოს-ანჟელოში, სადაც სცადა თავისი ნიჭი—კინოში და უცბათ მსხვილი კინო-არტისტი გახდა, ის უმთავრესათ გრძელი, ტრიუკიან სურათებში გამოდიოდა და მის ყველაზე უფრო საშიშ ტრიუკს წყალში „აკულებთან“ ბრძოლა შეადგენდა; ერთად ერთნი, რომელთაც არ ეშინიანთ „აკულების“ და მასთან ბრძოლას ბედავენ,—ეს მხოლოდ ჰავაელები არიან, რომლებიც თავს ესხმიან და იგერიებენ ამ ცხოველს მხოლოდ მოკლე დანით ხელში. მსოფლიო ომის დროს სერლე ჯარისკაცათ წავიდა საფრანგეთში; ომის შემდეგ ის დაბრუნდა კალიფორნიაში, სადაც მან მიიღო მთელი რიგი ბრწყინვალე ანგაჟემენტებისა, მაგრამ ყველა მათ უარი განუცხადა და თითქოს დემონსტრაციის სახით, წავიდა სან-ფრანცისკოს ნავთსადგურში—ტვირთმზიდავათ. ამ ჟამათ სერლე-სკულპტორი არის. მან აქაც გამოიჩინა თავისი ტალანტი და დიდ მოდაშია.

## წერილი რედაქციის მიმართ.

„ტრიბუნის“ გუშინდელ ნომერში მაბრალებენ ლექსის სახელის („ქალაქი ფენობენი“) მოპარვას. ვიცნ მე მიცნობს, ეს ბრალდება მას სასაცილოდაც არ ეყოფა, „უქიმერიონის“ მეორე ნომერი მე ჯერ თვალითაც არ მინახავს, აქ არის სახელების უბრალო შეხვედრა და მეტი არაფერი.

**გრიგოლ რობაქიძე.**

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ შემდეგი ჩემი განცხადება. 1919 წლამდე მე ვითვლებოდი საქ. სოც.-ფედერალისტთა სარ. პარტიაში. მხოლოდ ამის შემდეგ არ მიმუშავნია არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში და დღეს ვეთანხმები რა სავსებით საქ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევ. პარტიის აღებულ პოლიტიკურ გეზს, სურვილი მაქვს ვითვლებოდე მის წევრად.

**ს. ქათამაძე.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.


**ქალაქის დარაბების მოქირავეები,**

რომელნიც დაკეტენ დარაბებს, საწყობებს, სარდაფებს ან სხვა გვარ სავაჭრო-სამრეწველო კანტორებს და დაწესებულებებს, ვალდებულნი არიან ანგარიში გაასწორონ საფინანსო განყოფილების სადარაბო სექციაში, სადაც უნდა წარმოადგინონ ქირის გადასახადის ქვითარები, ორდერები და გასაღებები დარაბებიდან ალმასკომის ინვენტარის გატანა სასტიკად აკრძალულია.

№ 358. 1—4 **საფინანსო განყოფილების გამგე.**

ამით ცხადდება საყოველთაო

**საყურადღებოდ**

რომ **ალმასკომის საფინანსო განყოფილების** მიერ იჯარით იცემა ერთი წლის ვადით შემდეგი ბაღ-რესტორანები „არტო“, „სოლეი“ და „ზვეზდა“ პლეხანოვის პროსპ., „კრუჟოკი“ კირკის ქუჩაზე და „უნიონი“ სოლოლაკის ქუჩაზე პირობების გაგება შეიძლება საფინანსო განყოფილების მდივანთან ამხ. ქიქოძესთან ოთახი № 14.

№ 358. 1—4 საფინანსო განყოფილების გამგე—**ვ. ფიალკოვსკი.**

**ტფილისის ალმასკომის პრეზიდიუმის და ტრანსპორტის მუშათა კავშირის დადგენილების თანახმად,**

**ყველა ავტომობილების მართველმა შოფერებმა, ქალ. ტფილისში უნდა ჩააბარონ გამოცდები ამ საგანზე სპეციალურად დანიშნულ კომისიაში.**

ამის გამო ყველა შოფერები, გარდა სამხედრო ვალდებულნი არიან ორი კვირის ვადაში შეიძინონ ექიმის მოწმობა და ორი ფოტოგრაფიული სურათი და ასეთები წარმოადგინონ პირადობის მოწმობასთან ერთად

**ტფილისის ალმასკომში** (ოთახი № 4),

არა უგვიანეს მიმდინარე მაისის 25 რიცხვისა.

**ის პირები, რომლებიც არ ჩააბარებენ გამოცდებს ავტომობილებზე სამუშაოდ არ იქნებიან დაშვებულნი:**

გამოცდები პირველ რიგში მოხდება შრომის ბირჟის აღრიცხვაზე მყოფ შოფერებისა, ხოლო ყველა დანარჩენებ ავტომობილებზე მომუშავენი გამოიცდებიან მეორე რიგში და მათი გამოცდის დრო გამოცხადებული იქნება ცალკე.

კომისიის თავმჯდომარე—**ჩირგაძე.**

№ 359. 3—1


ტირაჟი 900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმმართველობის მიერ № 272 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.